მკურნალობის ხელშეკრულება

მკურნალობის ხელშეკრულება იდება გიორგი ბაქანიძეს, შემდგომში *ფსიქიატრიული პრაქსისი*, და

გვარი: _____ სახელი: _____

დაბადების თარიღი: _____

მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი.: _____

შემდგომში პაციენტი, შორის.

ფსიქიატრიული პრაქსისის განაცხადი

მომსახურების გაწევა ხორციელდება საექიმო ხელოვნების წესების შესაბამისად სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო მკურნალობის ჩატარების მიზნით. მომსახურების სახისა და მოცულობის შესახებ პაციენტს მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია. მკურნალობის ხელშეკრულების ფარგლებში არ მოხდება ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც სცილდება სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო მომსახურების მოცულობას.

პირადი მონაცემების შეგროვება

ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების შეგროვება წარმოადგენს პაციენტისთვის მკურნალობის ჩატარების წინაპირობას. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მოწოდებული საჭირო ინფორმაცა, შესაძლებელია ვერ ჩატარდეს სათანადო მკურნალობა. თქვენ მონაცემებთან მოპყრობასთან დაკავშირებულ დეტალურ განმარტებებს შეგიძლიათ გაეცნოთ მონაცემთა დაცვის დეკლარაციაში.

ონლაინ ზარისთვის გამოიყენება Google Meet სერვისი, რომელიც ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონთან (General Data Protection Regulation, GDPR) შესაბამისობაში არ იმყოფება.

ფსიქიატრიული პრაქსისის მხრიდან ვიზიტის გაუქმების შემთხვევაში

ექიმის ავადმყოფობის ან მისი სხვა მიზეზებით დაბრკოლების შემთხვევაში შემოგთავაზებთ ორი შესაძლებლობას, შეხვედრის მოგვიანებით თარიღზე გადატანას ან მის გაუქმებას წინასწარ გადახდილი თანხის სრულად ანაზღაურებით.

<u>პაციენტის მხრიდან ექიმთან ვიზიტის გაუქმების შემთხვევაში</u>

იმ შემთხვევაში, თუკი ვიზიტი წერილობით (ელექტრონული ფოსტით) გაუქმდება 24 საათით ან უფრო მეტი ხნით ადრე, გადახდილი თანხა სრულად უკან დაბრუნდება.

იმ შემთხვევაში თუ ვიზიტი 24 საათზე ნაკლები დროით ადრე გაუქმდება, თქვენ მიერ გადახდილი თანხის ნახევარი დაგიბრუნდებათ, ხოლო ვიზიტზე არ გამოცხადების შემთხვევაში, *ფსიქიატრიული პრაქსისი* კომპენსაციის სახით დაიტოვებს მთლიან გადახდილ თანხას.

ვიზიტზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მაგ. მოულოდნელი მძიმე ავადმყოფობა ან ფორს-მაჟორული გარემოებები, გადახდილი თანხა სრულად აგინაზღაურდებათ.

<u>არასრული დოკუმენტაცია</u>

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი დოკუმენტები (მკურნალობის ხელშეკრულება, ანამნეზის ფორმულარი და გადახდის ქვითარი) *ფსიქიატრიული პრაქსისის* ელექტრონული ფოსტის მისამართზე (info@p-praxis.com) გადმოგზავნილი არ იქნება დაჯავშნილ შეხვედრამდე 24 საათით ადრე, ვიზიტი გაუქმდება და გადახდილი თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, პაციენტს უკან დაუბრუნდება.

თანხის უკან დაბრუნების პროცედურას ბანკთაშორისი ურთიერთობების გათვალისწინებით შესაძლოა 2 - 3 სამუშაო დღე დასჭირდეს.

ფსიქიატრიული პრაქსისი (გიორგი ბაქანიძე)

ხელმოწერა _____

პაციენტი

თარიღი: _____ ხელმოწერა: _____